

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა აკონომიკის სამინისტრო ბრძანება
№137**

2005 წლის 11 ივლისი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური
რესურსების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“**

აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 1 ივლისი №33 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტოს“ დებულება.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

კ. კუჭუხიძე

რეგისტრირებულია აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში
სარეგისტრაციო კოდი 36016000033041000062

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი „აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური
რესურსების სააგენტო“ დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტო“ (შემდგომში – „სააგენტო“) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა აფხაზეთის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის გეოლოგიური განყოფილების ბაზაზე და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო კონტროლით, დამოუკიდებლად ახორციელებს საჯარო საქმიანობას.

2. „სააგენტო“ არის დამოუკიდებელი დაწესებულება, აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა, ახორციელებს მხოლოდ იმ საქმიანობას, რომელიც დადგენილია ამ წესდებით.

3. „სააგენტო“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებით, საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო აქტებითა და ამ დებულებით.

4. „სააგენტოს“ აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში, მრგვალი ბეჭედი, შტამპი და სხვა საჭირო ატრიბუტიკა. ბეჭედზე ასახულია საქართველოს გერბი და სააგენტოს სრული სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე. „სააგენტო“ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით და ფლობს იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ყველა იმ უფლება-მოვალეობას, რომელიც მინიჭებული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

5. „სააგენტო“ ვალდებულია აწარმოოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

6. „სააგენტოს“ უფლება აქვს საკუთარი სახელით გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

7. „სააგენტო“ ანგარიშვალდებულია აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის წინაშე, რომელიც წარმართავს „სააგენტოს“ საქმიანობასა და ახორციელებს მის სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით.

8. „სააგენტოს“ იურიდიული მისამართია. საქართველო, ქ. თბილისი, მოსაშვილის ქუჩა №24.

მუხლი 2. „სააგენტოს“ საქმიანობის სფერო და ამოცანები

1 „სააგენტოს“ საქმიანობის სფეროს განეკუთვნება:

ა) ყველა სახის გეოლოგიური სამუშაოს ჩატარება (გეოფიზიკური, გეოქიმიური, გეოლოგიური, ჰიდრო-გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, ეკოლოგიური და სხვა);

ბ) არსებული მასალის საფუძველზე აფხაზეთის გეოლოგიური ელექტრონული ინფორმაციული ბაზის ჩამოყალიბება;

გ) უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვის ხელშემწყობ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება;

2. „სააგენტოს“ ძირითადი ამოცანებია:

- ა) რეგიონალური გეოლოგიური, გეოფიზიკური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, გეოქიმიური, მინერალოგიური, გეოეკოლოგიური და სხვა სამუშაოების წარმოება. სხვადასხვა მასშტაბის, შინაარსისა და დანიშნულების გეოლოგიური რუკების შედგენა და გამოცემა;
- ბ) გეოლოგიური სამუშაოებისა და სპეციალური გეოლოგიური გამოკვლევების ჩატარება;
- გ) სასარგებლო წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების მიზნით სახელმწიფო მოზნობრივი პროგრამების შემუშავებაში და განხორციელება მონაწილეობა;
- დ) არსებული სასარგებლო წიაღისეული საბადოების გადაფასების და შეფასების მიზნით მიზნობრივი პროგრამების შედგენაში და განხორციელებაში მონაწილეობა;
- ე) სასარგებლო წიაღისეული რესურსების შეფასება, აფხაზეთის მინერალური ნედლეულის ბაზის განსაზღვრა განმტკიცება და განვითარება;
- ვ) მიწისქვეშა წყლების რესურსების შეფასება, სპეციალური სამხედრო-საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები;
- ზ) გეოლოგიური ინფორმაციის პირველადი და სისტემატიზირებული ბაზების და ბანკების შექმნა;
- თ) სხვა და სხვა მასშტაბის გეოლოგიური შინაარსის რუკების კომპლექტების შედგენა;
- ი) დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით სასარგებლო წიაღისეულის ყველა სახის (მყარი, თხევადი, აირული) პროგნოზული რესურსების გამოთვლა, საბადოების გადაფასება, მინერალური რესურსების შეფასება და მათი ღირებულების დადგენა, ფორმირება;
- კ) აფხაზეთის ტერიტორიის წიაღის სახელმწიფო ფონდის ფორმირება;
- ლ) სასარგებლო წიაღისეულის საბადოების (მათ შორის ტექნოგენური საბადოების) და გამოვლინებების, წიაღის სხვა რესურსების კადასტრების და პასპორტების შედგენა;
- მ) მინერალური რესურსების შესახებ სარეკლამო მასალის მომზადება, მომხმარებელი დარგების განსაზღვრა, სამომხმარებლო ბაზრის შესწავლა;
- ნ) აფხაზეთის ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების შესწავლა, მათზე მუდმივი ლითომონიტორინგული დაკვირვება;
- ო) ყველა სახელმწიფო მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასაბუთებისათვის საჭირო გამოკვლევების ჩატარება და მსხვილი სამეურნეო ობიექტების პროექტირების საინჟინრო-გეოლოგიური ექსპერტიზა გარემოს შესაძლო ცვლილებებზე მათი ზეგავლენის დასადგენად, მათი ერთიანი ლითომონიტორინგული კვლევების სისტემის დაკვირვებათა ქსელში შეტანა;
- პ) საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოყოფილი მიწის ფართობების დაკანონებისათვის საჭირო საინჟინრო-გეოეკოლოგიური დასკვნის გაცემა განურჩევლად მიწათმოსარგებლისა;
- ჟ) სტიქიით დაზარალებული და საშიშ ზონაში მყოფი მოსახლეობისა და დემოგრაფიულად გართულებული რაიონებისათვის მდგრადი სარეზერვო ტერიტორიების შერჩევა;
- რ) აფხაზეთის მთიანი რეგიონებისათვის ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისაგან მოსახლეობის და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით: საშიშროების რისკის დადგენა, მიტოვებული, მოუხერხებელი და ასათვისებელი რთული ფართობების შესწავლა, ინვენტარიზაცია-კადასტრირება;
- ს) აფხაზეთის, სამრეწველო, ჰიდროტექნიკურ-მელიორაციული და სამთო მოპოვებითი ობიექტებისათვის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური კვლევები პროექტირების ყველა სტადიისათვის;
- ტ) ნებისმიერი სხვა სახის გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური სამუშაოს შესრულება და მომსახურება, რომლებიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3. „სააგენტოს“ მართვა

1. „სააგენტოს“ ხელმძღვანელობს დირექტორი რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი.
2. დირექტორი:
 - ა) „საჯარო სამართლის იურადიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის და „სააგენტოს“ დებულების ფარგლებში მოქმედებს დამოუკიდებლად;
 - ბ) საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად;
 - გ) არის საჯარო სამართლის იურადიული პირის – სააგენტოს წარმომადგენელი და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე;

დ) აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს „სააგენტოს“ საშტატო განრიგსა და ხარჯთაღრიცხვას;

ე) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს „სააგენტოს“ თანამშრომლებს;

ვ) „სააგენტოს“ დირექტორს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სა კუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად, კანონიერად და სწორად ხარჯვაზე.

მუხლი 4. „სააგენტოს“ სახელმწიფო კონტროლი

„სააგენტო“ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა, აგრეთვე შეაჩეროს ან გააუქმოს დირექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 5. „სააგენტოს“ დაფინანსება

1. „სააგენტო“ დაფინანსების წყაროებია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული შემოსავალი ხმარდება „სააგენტოს“ თანამშრომლების მატერიალური სტიმულირებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. „სააგენტოს“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.